პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების მხარდაჭერა

განხორციელების ვადა: 07.11.2023 - 31.10.2025

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 2 000 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 2 000 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
LEPL Enterprise Georgia

Funded by the European Union

პროექტის აღწერა:

მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც დაიწყო ევროკომისიასთან 2 მილიონი ევროს საგრანტო ხელშეკრულებით 2023 წლის 7 ნოემბერს, არის სამწლიანი ინიციატივა, რომელიც ეძღვნება მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (SMEs) მხარდაჭერას მათი ციფრული ტრანსფორმაციის გზაზე.

პროგრამა მოქმედებს რეგიონალური საკონსულტაციო ცენტრების (Growth Hubs) საქმიანობის ფარგლებში და მოიცავს ორ მთავარ განზომილებას: ერთი მხრივ, ყოვლისმომცველი ცნობიერების ამაღლების კამპანიას, რომელიც მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს ინფორმაცია მიაწოდოს გაციფრულების პოტენციურად ტრანსფორმაციული სარგებლის შესახებ. მეორე მხრივ, პროექტის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის გაძლიერება მათი თანამშრომლების ციფრული უნარების ამაღლებით და, 25000 ლარის ოდენობის საგრანტო მექანიზმით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, მათ მიერ ციფრული ინსტრუმენტების/გადაწყვეტების შესყიდვისა და დანერგვის წახალისებით.

პროექტის ადმინისტრირებისთვის სააგენტო "აწარმოე საქართველოში" აიყვანს ციფრული ტრანსფორმაციის ექსპერტებს (DTE) თითოეული საწარმოს ინდივიდუალური ციფრული დიაგნოსტიკის ჩასატარებლად. დიაგნოსტიკის საფუძველზე ციფრული ტრანსფორმაციის ექსპერტები მეწარმეთათვის მოამზადებენ მათ საჭიროებებზე მორგებულ გაციფრულების გეგმებს. სამი წლის განმავლობაში პროექტი მიზნად ისახავს 120 მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ციფრული ინსტრუმენტების/გადაწყვეტის შესყიდვის დაფინანსებას და 300 მცირე და საშუალო ბიზნესის პერსონალის გადამზადებას.

მოსალოდნელი შედეგები:

საბოლოო მიზანია პროდუქტიულობის, ეკონომიკური შესაძლებლობების და მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში შოკების წინააღმდეგ მდგრადობის ზრდა გაციფრულების გზით.